ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-10/012026 1100-17

"13" 10. 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4ვ-ში (საკ. კოდი №01.12.07.005.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საავადმყოფო - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4822738 16.01.2020წ.

ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4ვ-ში (საკ. კოდი №01.12.07.005.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე, "ბ" ღერძის გარეთ, საყრდენ კედელზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. პროექტში სრულად არ არის ნაჩვენები საკომუნიკაციო შახტები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები. პროექტში სრულად არ არის ნაჩვენები რიგელები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. კიბის უჯრედებში მოაჯირებზე სახელურების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. +21.40 ნიშნულზე "2-3" და "6-7" მონაკვეთებში, ასევე 10.80 ნიშნულზე "12-13" მონაკვეთში კიბის უჯრედებში და ლიფტის სამანქანოში დამატებით მოწყობილია საფეხურები. შახურავებზე დამატებით მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედლები ტექნიკური დანადგარებისთვის, ასევე დამატებით მოწყობილია ტექნიკური დანადგარები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კარის ტიპები და გაღების მიმართულებები. პროექტში ნაჩვენები ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს.

„1-15" ფასადზე: +7.40 ნიშნულთან, "8-10" მონაკვეთში გაუქმებულია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. +21.70 ნიშნულზე, "1-4" მონაკვეთში საქვაბეზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები და შეცვლილია ცხაურების მდებარეობა.

„15-1" ფასადზე: ±0.00 ნიშნულთან, "7-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერა ლოგოთი. ამავე ნიშნულზე, "11-9" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. +14.10 ნიშნულთან, "13-12" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა. +20.70 ნიშნულის გასწვრივ, "8-7" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტის სიბრტყე და მასალა. +21.70 ნიშნულის გასწვრივ, "2-1" მონაკვეთში საქვაბის ფასადზე დამატებით მოწყობილია ხვრელები.

"ა-ე" ფასადზე: +20.70 ნიშნულზე, "გ-დ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ვიზუალი. +4.10 ნიშნულთან, "ბ-გ" მონაკვეთში გაუქმებულია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა.

-3.00 ნიშნულზე: "დ-ე" მონაკვეთში, "7" ღერძის გასწვრივ, კიბის უჯრედთან შამბურის კედელსა და კარს შორის მონაცვლებული აქვს ადგილი "დ" ღერძისკენ.

±0.000 ნიშნულზე: 11" ღერძზე, "ბ'-გ'" მონაკვეთში ნაწილობრივ ბლოკის კედლის ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედელი. "7" და "6" ღერძების გარეთ, ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია პანდუსი. ამავე ღერძების გარეთ სტადიონის პერიმეტრზე დამატებით მოწყობილია ლითონის ბადე. "ე" ღერძის გარეთ, "5-6" მონაკვეთში გამწვანებასთან არ ფიქსირდება დაბალი კაპიტალური კედლები.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

+4.20 ნიშნულზე: "ა" ღერძის გარეთ, "6-13" მონაკვეთში შეცვლილია რელიეფის ნიშნულები, რის გამოც შემცირებულია საფეხურების რაოდენობა, ასევე "10-13" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე. გაზრდილია პანდუსების დახრის პროცენტული მაჩვენებელი.

+7.50 ნიშნულზე: "11" და "გ" ღერძების კვეთაზე შეცვლილია კოლონის ფორმა. ტერასაზე, "10" ღერძთან, ასევე "ბ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია წყალმიმღები არხები.

+21.60 ნიშნულზე: "ბ-ე" და "1-4" მონაკვეთში, იატაკის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი ლუქით. ასევე შეცვლილია სვეტების გაბარიტი, მდებარეობა და გაზრდილია მათი რაოდენობა. საქვაბის კონტურზე შეცვლილია კედლის მასალა, ასევე საქვაბის გადახურვა ნაწილობრივ სცდება ფასადის სიბრტყეს. "3-4" და "გ-დ" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია საფეხურები და ბაქანი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №28-95 25.09.2018წ. დადგენილების, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა"-ს . თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4ვ-ში (საკ. კოდი №01.12.07.005.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საავადმყოფო - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/0120261100-17 17.09.2020წ. და
№10/01202731785-17 29.09.2020წ. განცხადებები.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი **ლევან ჯღარკავა**